# სახალხო გაზეთი

№ 676 ჰარასკევი, 17 აგვისტო, 1912 წ. № 676

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართ-ული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


ოთხშაბათს, 15 აგვისტოს, დაბა საჩხერეში გარდაიცვალა

## კნ. რახილ გიორგის ასული წერეთლისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **შვილები თ-დ გიორგი და მიხეილი სვიმონის ძე წერეთლები, ძმები თავად დავითი, ივანე, კონსტანტინე და ალექსანდრე გიორგის ძენი ციციანოვები. რძლები: ეკატერინე დავითის ასული და ნატალია გიორგის ასული ციციანოვებისა.** დაკრძალვა მოხდება დ. საჩხერეში, შაბათს, 18 აგვისტოს. (1.1446.1)

**ქეთევან, იოსებ, ნიკოლოზ და მაკრინე პაიჭაძენი, ნინო ლოლაძისა, ნიკოლოზ და მარიამ მელითაურნი** გულმწუხარედ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 14 აგვისტოს გარდაიცვალა

## ივანე სვიმონის ძე პაიჭაძე.

პანაშვიდები საღამოს 7 ს., ცხედრის გამოსვენება 18 აგვისტოს, ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (1.611.1)

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: **მარიამ (მაშო) დავითის ასული პანდელოვისა, კოსტა ივანეს ძე პანდელოვი, ნინა ალექსის ასული პანდელოვისა, ანიჩკა, ლუბა, საშა და სოკრატ პანდელოვები,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 18 აგვისტოს, დილის 10 საათზე, **დიდუბის** ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, პირველის უძვირფასის ქმრის, მეორის—მარად დაუვიწყარის ძმისა, მესამის—საყვარელის მაზლის და მეოთხეთა ძვირფასის ბიძის, ტრაღიკულად მოკლულის მოიჯარადრის

## პავლე ივანეს ძის პანდელოვის

სულის მოსახსენებლად. (2.612.1)

**ეკატერინე დიმიტრის ასული აბდუშელიშვილი, სოფიო დიმიტრის ასული ჩხატარაშვილი, მიხეილ როსტომის ძე და დიმიტრი მიხეილის ძე ჩხარტიშვილები, ზურაბ, ნიკოლოზ, ყარამან და ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილნი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა პირველი ორის—გულით საყვარელი ძმა, მესამისა—ცოლის ძმა და დანარჩენთა—ბიძა

## კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძე.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე **ქუთაისში.** ცხედარს წაასვენებენ საფიჩხის ეკლესიაში, კვირას, 19 აგვისტოს, დილის 9 საათზე. (2.613.1)

**რომან გრიგორის ძე** და მისი **და** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარის დედის, სიონის საკრებულო ტაძრის დეკანოზის ქვრივის

## ეკატერინე პეტრიაშვილის

ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, დილით 12 საათზე, საღამოთი 6 საათზე, გამოსვენება შაბათს, 18 მარიამობისთვეს, საკუთარის სახლიდან (ვერა, უდელის ქუჩა № 25), ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, და დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1.614.1)

მწუხარებით გულმოკლულ **ანასტასია დიმიტრის ასული ბაქრაძე** აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა მისი საყვარელი ძმა

## კოტე ბაქრაძე.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, **ქუთაისში.** ცხედრის გამოსვენება საფიჩხის ეკლესიაში, კვირას, 19 აგვისტოს, დილის 9 საათზე. (2.613.1)

## საზაფხულო ახალი კლუბი თეატრი.

შაბათს 18 აგვისტოს 1912 წელს

**საოჯახო საღამო**

საზაფხულო თეატრში გამართულ იქნება

**საოპერო საღამო**

ქ. ა. ბ. გუსაკ-ლუჩინსკაის ასულის, კ. ს. ცხომელიძეს და ვ. ა. დავითაშვილის მონაწილეობით.

**პირველად ქართულ ენაზე** „სტრადელლა“

მუზ. ფლოტოვისა.

წარმოდგენის შემდეგ **ცეკვა.**

ფასი თეატრის ბილეთებისა 1 მანეთიდან—20 კაპეიკამდე. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ: კაცები—1 მან., მანდილოსნები 50 კაპ.; სტუდენტები და საშუალო სასწავლებლის მოწაფენი—25 კაპ. (2—1445—1)

ტფილისის საფერშლო

## სკოლა

მიხეილის საავადმყოფოსთან ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ განმეორებითი გამოცდა დაიწყება 21, 22 და 23 აგვისტოში, მხოლოდ მისაღები გამოცდა მოხდება 25, 27, 28 და 31. დასაწყისი დილით 8 ს. თხოვნების მიღება მოისპობა 15 აგვისტოს. (3.1423.2)

ტფილისის სათავად-აზნაურო ქალთა

## სასწავლებლის გამგე

აცხადებს, რომ მისაღები და გადასასვლელი გამოცდა დაიწყება 25 მარიამობისთვეს.

**თავისუფალი ადგილებია:**
1, 2 და 3 განყოფილებაში და აგრეთვე 1 და 2 კლასში. (5.1441.3)

## ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე აცხადებს,

რომ გიმნაზიის მოწაფეების გამოცდა

დაიწყება მე-3, 4, 5, 6 და 7 კლასებში მარიამობისთვის 20,
„ 1 და 2 „ „ 23,
„ მოსამზადებელ განყოფილებებში „ 25,
მისაღები ეგზამენები პირველს განყოფილებაში „ 25.
სხვა კლასებში გიმნაზიის მოწაფეებთან ერთად.

მოწაფე, რომელიც თავის დროზე არ გამოცხადდება გამოცდაზე, აღარ იქნება მიშვებული ეგზამენებზე, ვისზედაც გასულის 19¹¹/₁₂ წლის სწავლის გადასახადია დარჩენილი, თუ არ გადიხდიან 1 ენკენისთვემდე, გამორიცხულად ჩაითვლებიან.

თხოვნები ახლად შემომსვლელთაგან მიიღება მხოლოდ 15 მარიამობისთვემდე. სხვა გიმნაზიებიდან გადმოსვლის მსურველნიც მოვალენი არიან დაიჭირონ ეგზამენები ყველა საგნებში. **გიმნაზიის კანცელარია ღია იქნება** ოთხშაბათობით დილის 10—1 საათამდე. (3.1384.3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძალინივის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დბვითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ხ.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულხანოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დბვითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.

**ბთენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.94)

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლისათვის

## საჭიროა მასწავლებელი

**მიწათ-მოქმედებისა და მეფუტკრეობისა.**

დამაარსებელი და მზრუნველი სკოლისა **ილია წინამძღვრიშვილი.** (3.1443.1)

**გამოსულია და იყიდება**

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| I ტ. | „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრივობა“ | 80 კ. |
| III „ | „ნააზრევი“ | 65 კ. |
| IV „ | წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | 85 კ. |

**გამოსულია და იყიდება**

ი. გედევანიშვილის პიესა

## „გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**შეიძლება დაკვეთა:**

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე. ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან. ფოთში—იონა მეუნარგიასთან. თელავში—თამარ აბაშიძესთან. სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან. [illegible]. ბაქოში—ილია აგლაძესთან. ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. ერევანში—ელენე ვირსალაძესთან. ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან. ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—153—3)

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 365)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“.**

(წლ—1018—56).

ელექტრონისა და რენტგენის

## სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—65)

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—90)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115 დიდუბე). (თ.—1049—120)

**ექიმი ს. ი. ბძელიშვილი** შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—25)

**ექიმი** აბასთუმანში **ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (წ. 1347.225)

**ექიმი** კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (0—1334—43)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვ-ათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6

**ექიმი** ქალი **დ. გ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საშვილოსნოს... ბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.4)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.179).

# ტფილისი 17 აგვისტო.

**ბინის საკითხი.** წლითი წლობით ტფილისში ბინის საკითხი მწვავდება. ქალაქი გასაოცარის სისწრაფით იზრდება, მაგრამ ჰიგიენურად მოწყობილი ბინების რაოდენობა კი ისევ ძველებურია. კომფორტზე ვილა ფიქრობს. განსაკუთრებით ქალაქის განაპირა უბნებს ემჩნევა ერთს წერტილზე გაყინვა. მიუხედავად იმისა, რომ მოწყობილ ბინათა რიცხვი ძალიან ცოტაა, ფასები საშინლად იწევა. უეჭველია თვითოეულმა მკითხველთაგანმა პირადის გამოცდილებითაც კარგად იცის, რომ ფასები ბინაზე ერთი სამად თუ არა, ერთი ორად მაინც გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ღირსება ბინისა ისევ ძველებური დარჩა. ბევრგან არც წყალია, არც რიგიანი ეზო, კანალიზაცია,—ბინის დამქირავებელი ელემენტალურ მოწყობილებასაც კი მოკლებულია, მაგრამ ქირას კი, წინა წლებთან შედარებით, ერთი ორად მეტს იხდის.

გაიხსენეთ ეხლა ბარბაროსული პირობები სახლის პატრონებისა. ბინის დამქირავებელმა უსათუოდ უნდა დაიცვას სასტიკი კონტრაქტი, ბავშვები უსათუოდ ცოტა უნდა ჰყავდეს,—სახლის პატრონები ბავშვების დაუძინებელი მტრები არიან,—ერთის სიტყვით ბინის დამქირავებელ ყურ-მოჭრილი მონა უნდა იყოს სახლის პატრონისა და მუდამ იმის ქეიფზე უნდა იაროს.

არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ შემდეგ ბინის დამქირავებელის აუტანელი მდგომარეობა შეიცვლება. პირიქით, ის უფრო მოსალოდნელია, რომ შემდეგს წლებში ბინის საკითხი უფრო გამწვავდება და ბინის დამქირავებელიც უარესს პირობებში ჩავარდება.

ბევრს ქალაქში ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს, დაარსდა „ბინის დამქირავებელთა საზოგადოებანი“, მაგრამ ამნაირის საშუალებით ბინების სიძვირესთან ბრძოლა შეუძლებელი გახდა.

ერთად ერთი რაციონალური საშუალება ის იქნებოდა, რომ ქალაქის თვითმმართველობას თვითონ ეკისრა ამ საქმის მოგვარება. მაგრამ დღევანდელს პირობებში, როდესაც ქალაქის ბედ-იღბალი უმეტეს ნაწილად სახლის პატრონების ხელშია, სახლის პატრონთაგან შემდგარი ქალაქის თვითმმართველობა ყოველთვის სახლის პატრონთა ინტერესებს დაიცავს.

ამიტომ დემოკრატიზაცია საქალაქო არჩევნებისა ერთად-ერთი გზაა, რომელიც იხსნის ბინის დამქირავებელს სახლის პატრონის ულმობელ კლანჭებისაგან.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** კისლოვოდსკში უკვე ჩამოსულა. იქიდან ტფილისისკენ წამოსვლას აპირობს დღეს, ნაშუ დღევის პირველ საათზე.

✦ **სიონის საკათედრო ტაძარში.** 15 აგვისტოს, სიონის საკათედრო ტაძრის დღესასწაულის დღის, ამ ტაძარში მწირველი იყო საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი ეპისკოპოსების ანტონისა და პიმენისა და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით.

✦ **ანჩისხატობა.** გუშინ, 16 აგვისტოს, ანჩისხატის ტაძარში მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი ანტონი. წირვის დროს შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ამ ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ნიკ. თალაკვაძემ. წირვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა აგრედვე ეპისკოპოსმა ანტონიმ. გალობდა ეკლესიის გუნდი ქართულად და არქიელის ხორო—რუსულად.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** კვირას, 19 აგვისტოს, ქალაქის ჩაჩქოს დარბაზში რუსთა კურიის ამომრჩეველთა ერთის ჯგუფის წინასწარი საარჩევნო კრება მოხდება. კრება შუადღისას, 12 საათზე დაიწყება.

✦ **უბედური შემთხვევა.** ნიკოლოზ ივანეს ძე ხუციევმა პოლიციას განუცხადა: 12 აგვისტოს ჩემი შვილი გიორგი (8 წლისა) სახლში თამაშობდა, უცაბედად სამოვარს მიეხალა, სამოვარი გადაბრუნდა, ადუღებული წყალი ბავშვს დაესხა და სხეული დაუთუთქა. ბავშვი 15 აგვისტოს გარდაიცვალა.

✦ 15 აგვისტოს დაბრუნდა ტფილისში **პეტ. უნივერსიტეტის პრივატ-დოც. ნ. ს. დერჟავინი** გურიიდან, სადაც იგი გაგზავნილი იყო სამეცნიერო აკადემიისაგან ეტნოგრაფიულ ნიმუშების შესაკრებად. ნ. ს. დერჟავინს შეუგროვებია სამი ურემი მასალა და უკვე გაუგზავნია პეტერბურგს, სადაც მომავალ წელს გამოფენილი იქნება. თითონ დერჟავინი 17 აგვისტოს მიემგზავრება ტფილისიდან პეტერბურგს.

✦ **ფოსტაში თავდასხმა.** 15 აგვისტოს, ფოსტის იმ განყოფილებაში, სადაც მარკებსა ჰყიდიან, მორიგეობდა მოხელე-ქალი, რომელსაც ნაშუადღევის 4 საათზე, ვილაც უცნობნი შეეჭრნენ და 250 მან. ფული გაიტაცეს კასიდან. ფულის გამტაცებელთა კვალს ჯერ-ჯერობით ვერ მიაგნეს.

✦ **არქიმანდრიტ იერონის გარდაცვალება.** როგორც ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის მიერ ... ში გარდაცვალებულა ღრმად მოხუცებული არქიმანდრიტი იერონი, დამაარსებელი ახალ ათონის მონასტრისა.

✦ **სამამულიშვილო ომის დღესასწაულზე** დასასწრებლად ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მაგივრად ტფილისიდან მოსკოვს გაემგზავრა ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ნიკ. ივ. საგინაშვილი.

✦ **ხოლერის მოლოდინში.** გუბერნატორის შეკითხვაზე ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ა. ძ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა უპასუხა, რომ ყოველგვარი ღონის ძიება არის მიღებული ტფილისში მოსალოდნელ ხოლერის წინააღმდეგო; სახელდობრ: გაცემულია განკარგულება, რათა გაასუფთაონ ქუჩები, ეზოები, მტკვრის ნაპირები და სხვაო.

✦ **„ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული“-ს აგვისტოს ნომერი (15) მცირე წლოვანთათვის.

✦ **ცეცხლი.** 15 აგვისტოს ცეცხლი გაუჩნდა ნორიოს აღმართზე მდებარე სახლს № 9, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სოფელ წირქვალის მცხოვრებს სოლომონ ივანეს ძე მიროტაძეს ეკუთვნის. ზარალი 10,000 მანეთამდეა.

✦ 15 აგვისტოს დიდის მთავრის ქუჩაზე, სახლში № 68, ადუღებულ წყლით სავსე აუზში ჩავარდა ივანე მჭედლიშვილი და სხეული საშინლად დაეთუთქა. მისი მორჩენის იმედი აღარ არის. იგი მიხეილის საავადმყოფოში წევს.

✦ **მოსავალი.** გუშინ ტფ. საბირჟო კომიტეტმა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სავაჭრო განყოფილებას მოსავალის შესახებ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: ამიერ-კავკასიის დაბლობს ადგილებში პური და ქერი უკვე გალეწეს და მოსავალი იყო: ერევნის გუბერნიაში-კარგი, განჯისა, ბაქოსი და ტფილისისაში-საშუალოზე უკეთესი, ადგილ-ადგილ კი, მაგალითად გორისა, კარიაგინისა და შუშის მაზრაში-კარგი. კახეთში, სადაც ორის თვის განმავლობაში სულ გვალვაა, პურისა და ქერის მოსავალი-ძალიან მცირე იყო. სიმინდის მოსავალი გორის მაზრაში კარგია მოსალოდნელი, ხოლო კახეთსა და დასავლეთ ამიერ-კავკასიაში-მცირე.

✦ **არქიმანდრიტი ამბროსი** (ხელაია) გუშინ ტფილისში ჩამოვიდა რუსეთიდან. გუშინვე გაემგზავრა თავის სამშობლოში, ქუთაისის გუბერნიაში ერთის თვის შემდეგ ისევ რუსეთში (ნოვგოროდის გუბერნიაში) დაბრუნდება.

✦ **მებამბეობა ამიერ-კავკასიაში.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიურო სოფლის მეურნეებს შეეკითხა: რა მდგომარეობაში არის მებამბეობის საქმე ამიერ-კავკასიაშიო. ბიურომ უკვე მიიღო 300-დე პასუხი და მთელის მასალის ერთად დამუშავებას 14 აგვისტოდან შეუდგა. დაასრულებს პირველ სექტემბრისთვის.

✦ **კახეთის რკინის გზა.** თელავის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელი შუამავალი ტფილისის ... ლობს, კახეთის რკინის გზაზე საზოგადო სამუშაო მოუწყოს კახელს გლეხებს.

✦ 14 აგვისტოს ტფილისში შეიპყრეს ეგნატე რიაბჩენკი, რომელიც პიატიგორსკში იყო გაგზავნილი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და ტფილისში თავის ნებით ჩამოვიდა.

✦ ტფილისში 14 აგვისტოს 151 უპასპორტო შეიპყრეს, 15 აგვისტოს—130.

✦ 14 აგვისტოს, ნიკოლოზის ქუჩაზე მდინარობითის სქესის ბავშვი იპოვეს, დაახლოვებით ორ ს თვისა. ბავშვი ოლგას საზებითის ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## სასწავლებლებში.

✦ **ტფილისის სასწავლებლებში** ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში მოწაფეების გამოცდა დაიწყება მე-3, 4, 5, 6, და 7 კლასებში 20 აგვისტოს, 1 და 2-ში 23 აგვისტოს და მოსამზადებელს განყოფილებებში-25. მისაღები ეგზამენები პირველს განყოფილებაში-25 აგვისტოს. სასწავლებლიდან გამოირცხებიან ის მოსწავლენი, რომელნიც $19^{1}/_{12}$ წლის სწავლის გადასახადს პირველ სექტემბრამდე არ გადაიხდიან.

— ქართულ საფილარმიო საზოგადოების სკოლა გადავიდა ახალ სადგომში (ყოროღნოვის ქ. ალ. გრ. ჭრელაშვილის სახლი № 6.) მოწაფეთა მიღება 27 აგვისტოს დაიწყება, სწავლა პირველს სექტემბერს დაიწყება.

— სათავად-აზნაურო საქალებო სასწავლებელში მისაღები და გადასასვლელი გამოცდა 25 აგვისტოს დაიწყება. თავისუფალი ადგილები: 1, 2 და 3 განყოფილებაში და 1 და 2 კლასში.

— საფერშლო სკოლაში (მიხეილის საავადმყოფოსთან) გამეორებით ეგზამენები მოხდება 21, 22 და 23 აგვისტოს, მხოლოდ მისაღები გამოცდა-25, 26, 28 და 31 აგვისტოს.

— ქალაქის არქიტექტორმა კ. ი. მარქაროვმა სამსახურს თავი დაანება.

## ქუთაისი

✦ კოტიანეთის (ოდიში) წმ. გიორგის ეკლესიაზე გადაუხდიათ პანაშვიდი **ა. ხახანაშვილის** სულის მოსახსენებლად. მღვდ. ცხაკიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მიცვალებულის დიდი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე.

✦ ქუთაისის საკრებულო ტაძრის გალავანზე გაფაციცებული მუშაობაა.

## გორი

✦ თორმეტ ამ თვეს მოხდა პირველი კრება **გორის გამომცემელ ამხანაგობის გამგეობის.** ამ კრებაზე რედაქტორმა დაწვრილებითი „ქართლის“ ანგარიში ჩააბარა გამგეობას და გამოუცხადა რომ გამომცემლობა უკვე გადავეცი გამგეობისაგან არჩეულ კაცს თავ. მ. ციციშვილსაო. ანგარიშები სწორე აღმოჩნდა და კრებამ უცვლელად დაამტკიცა.

## სოფლად

✦ **მკვლელობა** 15 აგვისტოს გორის მაზრის სოფელ კავთისხევში მიშა თარხნიშვილმა ხანჯლით მოჰკლა მთიული გიორგა წიკლაური.

✦ **ს. ბოსლევი** (შორაპნის მაზრა). 13 აგვისტოს, ადგილობრივ ეკლესიაში მღვ. ვანო ფერაძემ გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულ ალ. ... ხსენებლად. პანაშვიდის შემდეგ ბ. იასონ კაპანაძემ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის მოღვაწეობაზე.

# დეპეშა.

## ქუთაისი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქალაქის გამგეობის წევრი ბაქრაძე გარდაიცვალა. „ზაკავკაზიეში“ მოთავსებულმა ცნობამ, განსვენებულისა და ბებურიშვილის შეტაკების თაობაზე, აქ დიდი აღშფოთება გამოიწვია. დღეს განსვენებულის გვამს გასჭრიან, რათა სიკვდილის მიზეზი გამოარკვიონ.

# კინემატოგრაფიული დაწესებულება.

რასაკვირველია, ბრძანებულხართ პროექტორში: აი ჯგუფი ინგლისელ დენდი-ინტელიგენტებისა... საგანგებო სერთუკები, მონოკლებით აღჭურვილნი თვალნი, ყინულის სახე, რომაული მედიდურობა და დარბაისლობა... ერთი სიტყვით, ელით, რომ საცაა გაიხსნება პარლამენტის სხდომა!. მაგრამ უცებ... რაღაცა მოხდა!.. არც-თუ მეხი დაეცათ, არც-თუ ყუმბარა გაუსქდათ ფეხებ შუა და აირია ყველაფერი!.. საშინელი სისწრაფით იცვლებიან მოძრავი სურათები... გარბიან უგზო-უკვლოდ დამფრთხალი გლადსტონ-ასკვიტები.. არ გაჩნია ტყე, ველი, მთა, კლდე, ღრე, მდინარე... ლაჯ-გახეულმა მინისტრ-დეპუტატებმა გადალახეს ასიათასი ვერსი... იალქნებივით აფრიალებული სერთუკები იგლიჯებიან ნარ-ეკალზედ, მონოკლები ხის კენწეროებზე ეკიდებიან... ველარას არჩევთ... ყველაფერი თრთის, ზანზარებს, მოძრაობს... მხოლოდ რაღაც დამფთხალი გაფაცქნილ-დაფლეთილი ფარა... ვერც-კი გაგიგიათ,—ისევ „იმაზეა ლაპარაკი“, თუ სხვა რაზედმე,—ისევ ის ჯენტლმენები გარბიან, თუ გაძარცული ვაჭრები... აღარც თავი, აღარც ბოლო, აღარც აზრი... შესცქერი პირ-დაღებული და არ იცი, გაიცინო, თუ მართლა ფათერაკი რამ დაემართათ ინგლისელებს!.. მაგრამ უცებ ყველაფერი გაქრა და ტილოზედ ისევ ნაცნობი ჯგუფი გამოჩნდა.. ხელში უჭირავთ კურდღლის ბაჭია და ხითხითებენ... თურმე, ხუმრობა ყოფილა!..

ასეთივე კინემატოგრაფიული სურათია ჩვენი დრამატიული საზოგადოების გამგეობა....

ეს უ-უ-უ-უქართულესი დაწესებულება რაღაც ხორც-შეუსხმელი არსებაა: შეგიძლიანთ იაზროთ მასზე, იოცნებოთ, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია მისი „განცდა“, როგორც რეალური რამესი! ეს არის ლეგენდა, ზღაპარი, „ტრანსცედენტალური მოვლენა“ და მასთან საშინელი მოძრავი, უხილავი და აღსავსე კინემატოგრაფიული მოულოდნელობით!

ერთ ასეთს მოულოდნელობას წავაწყდი დღეს (9 აგვისტოს) „სახალ. გაზეთის“ 668 ნომერში...

როგორც მოგეხსენებათ, ამ ორი წლის წინად თ. პ. თუმანიშვილმა გადასცა დრამატიულ საზოგადოებას 300 მან. ნ. გაბუნია-ცაგარლის სახელის პრემიად დრამატიული ნაწარმოებისთვის. გამგეობამაც გამოაცხადა კონკურსი და პირობები. საკონკურსო პიესები მიიღეს და ბეჭედ-დასმული კვიტანციებიც დაურიგეს ავტორებს. გავიდა თვეები, წელიწადი და აი-ორიც... „არსაიდგან ხმა, არსით ძახილი“... ასტყდა ხმაურობა, ავტორების პროტესტი: რა დაგემართათ, მწნილად ხომ ჩასდეთ ჩვენი პიესები, თუ რა უყავითო?“ მაგრამ კინემატოგრაფიული დაწესებულება რის ოცნებაა, თუ-კი მოახერხებთ მის შეხებას!. მხოლოდ აქაიქ გაისმოდა „სიზმრისებული“ დაპირება და იქვე ჰქრებოდა, ვითარცა სიზმარი... ვერც-კი მიხვდებოდით, ვინ „აასწრაფ-მოძრავა“ ეს დაპირება,—ერთმა არსებამ, მთელმა გამგეობამ, თუ კინემატოგრაფიულმა ტილომ!.. ბოლოს ყველა დარწმუნდა, რომ მას „ტრანსცედენტალურ“ მოვლენასთან აქვს საქმე და შეურიგდა მას, როგორც ბუნებრივ აუცილებლობას, როგორც ... და... გაჩუმდა.

დღეს „სახალხო გაზეთში“ წავაწყდი ამავე კინემატოგრაფიულ გამგეობის განცხადებას... იმავე თ. პ. თუმანიშვილის 300 მან. ჰპირდება საუკეთესო ორიგინალურ პიესისთვის, მაგრამ პირობები შეცვლილია: უნდა იყოს სამ ან ოთხ მოქმედებიანი **კომედია** (წინად ეს პირობა არ იყო) და სხვა.. ერთი სიტყვით, ამ ორი წლის წინად წარდგენილი პიესები, როგორც არა კომედიები და არა სამ-ოთხ მოქმედიანები, კონკურსიდგან უნდა გამოირიცხნენ.

ნახვამდის, ბატონო გამგეობავ! ჩვენ ეგ უკვე გამოვიგლოვეთ და ველარ ჩაგეთრევინებით!.

ბატონო გამგეობავ! თუ მართლა მხოლოდ „ზმანება“-ს არ წარმოადგენთ, მოიღეთ მოწყალება და უპასუხეთ საზოგადოებას შემდეგ კითხვებზე:

1) მიგაჩნიათ თუ არა, საზოგადოდ, რამე **მოვალეობა პასუხისმგებლობისა** და, თუ მიგაჩნიათ, **რაში გამოიხატა ეს?**

2) ორი წლის წინად რომ პიესები მოიღეთ თქვენივე პირველი განცხადების ძალით,—რა უყავით ეს პიესები?

3) ვინ მოგცათ უფლება აცხადოთ, პიესები შეკრიბოთ, კვიტანციები არიგოთ, **ორი** წელიწადი აზიზინოთ, შემდეგ იმავე პრემიის განცხადება გამოუშვათ **ახალი** პირობებით და საზოგადოებასა და ავტორებს-კი არ ამცნოთ: **რა საბუთი** გქონდათ ასეთი მიჯრ-მოჯრებისა?.

4) რუსეთში საკონკურსო პრემიები ინიშნება და განცხადება **ერთი წლის წინად** ჰხდება! რა აზრი აქვს თქვენს განცხადებას, რომელიც პირველად 5 აგვისტოს გამოდის და უკანასკნელი ვადა პიესების წარდგენისა ინიშნება 20 აგვისტო, ე. ი., **15 დღე!** გაზეთს პროვინციებში იღებენ 4-5-6 დღის შემდეგ; რუსეთში და საზღვარგარედ, ხომ თქვენც მოგეხსენებათ, რამდენი ხნის შემდეგ... სხვა ქვეყნებში კონკურსისთვის აძლევენ ვადათ მთელ წელიწადს, ასე რომ, იქ მწერალს საკმარისი დრო აქვს სულ ახალი პიესა მოიაზროს, დაწეროს, შეიმუშაოს; თქვენ-კი, დალოცვილებო, გაგზავნის ვადასაც კი არ აძლევთ!..

5) სად არის გარანტია, რომ ორი წლის გაჩუმების შემდეგ კიდევ არ ვიხილავთ თქვენს ახალ განცხადებას, რომლითაც საკონკურსოთ მოითხოვთ ათ მოქმედებიან ტრაგედიებს და სხვა...

რას ნიშნავს, თუ ღმერთი გრწამთ, ყოველივე ეს?!, აი, პირ-დაღებული შემოგცქერით და არ ვიცით—გავიცინოთ, თუ მართლა „ფათერაკი რამ დაგემართათ“!...

თ. პ. თუმანიშვილმა სულ უბრალო საქმე ჩაგაბარათ და თქვენ-კი ამ ორი წლის განმავლობაში მხოლოდ სატირალ კომედიების მასალას იძლევით...

დიდება ჩვენი თეატრის არსებობის დაუშრეტელ უნარს, რომ თქვენ აქამდის ცოცხალი გადაგირჩათ!..

№.

# გარეული იხვი

ჰენრიკ იბსენისა.

დრამა ხუთ მოქმედებად.

(გაგრძელება. *)

**გინა.** როგორ! განა გუშინაც?

**რელ.** ჩვენი სახლში დაბრუნება ვერ გაიგეთ?

**გინა.** ვერა.

**რელ.** აგრე სჯობს, თორემ მოლვიკი თავის ღირსების დაგვარად არ იქცეოდა.

**გინა.** ნუ თუ ეს მართალია, მოლვიკ?

**მოლვ.** ჩამოვუშვათ ფარდა წარსული ღამის თავ-გადასავალს! იმას ხომ საერთო არა აქვს რა ჩემს „მე“-ს საუკეთესო ნაწილთან.

**რელ.** (გრეგერსს) ამას ეს ზეშთაგონებასავით მოსდის ხოლმე, და მე მაშინ იძულებული ვარ წავყვე და ვილოთო მასთან. კანდიდატი მოლვიკი, უნდა გითხრათ, დემონიური ბუნებისაა.

**გრეგერ.** დემონიური?

**რელ.** ჰო, მოლვიკი,—დემონიური ბუნებისაა.

**გრეგ.** ჰმ...

**რელ.** დემონიური ბუნების ხალხი კი იმიტომ არ არის გაჩენილი, რომ სცოცხლობდეს, და ფეხზე მტკიცედ იდგეს. დრო და დრო უხილავი ძალა ეწევა მათ გვერდზე. თქვენ ისევ მთებში ხართ, იმ საზიზღარ ქარხანასთან?

**გრეგ.** აქამდის იქ ვიყავი.

**რელ.** მერე? მიიღეთ დაკმაყოფილება იმ მოთხოვნილებათა, რომელთაც თქვენ უბით ატარებდით?

**გრეგ.** მოთხოვნილებათა? (მიუხვდება) ჰო-ო!

**ჰიალმ.** რა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მიიღე, გრეგერს?

**გრეგერ.** ისე, არაფერი.

**რელ.** არა, მართლა გეუბნები. ყველა მცხოვრებლებთან დარბოდა და მათგან თხოულობდა იდეალურ საკითხების, როგორც თითონ ეძახდა განხორციელებას.

**გრეგერ.** ყმაწვილი ვიყავ იმ დროს ისევ.

**რელ.** ეგ მართალია, ძალიან გამოუცდელი იყავით მაშინ. და სანამ მეც იქა ვცხოვრობდი, მგონი არც ერთხელ არ დაკმაყოფილებულა თქვენი იდეალური მოთხოვნილებანი.

**გრეგ.** დიახ, და თქვენს შემდეგაც ეგევე იყო.

**რელ.** დარწმუნებული ვარ, ეხლა იმდენად დაჭკვიანდი, რომ ცოტა რამ მაინც ჩამოაკელით მაგ თქვენს საკითხებს?

**გრეგ.** ფიქრადაც არ მომსვლია,—რასაკვირველია, თუ საქმე ნამდვილ ადამიანთანა მაქვს, ამ სიტყვას ჭეშმარიტი აზრით.

**ჰიალმ.** და ეგ ძალიან ჭკვიანურიც არის. კარაქი მოიტა, გინა.

**რელ.** მაშ პატარა ქონის ნაჭერიც მოლვიკისთვის.

**მოლ.** არა, არა, არ მინდა ქონი. (ფარდულიდან აკაკუნებენ).

**ჰიალმ.** ედვიგ, გაუღე, მამაა. (ედვიგი კარებს გაუღებს. შემოდის მოხუცი ეკდალი ახლად გატყავებული ბაჭიის ტყავით. ედვიგი კარებსა ხურავს).

**ეკდ.** ყმაწვილებს გაუმარჯოს. დღეს ნანადირევი ურიგო არ იყო. ზორბისა მოვკალი.

**ჰიალმ.** მერე, ჩუმად გაატყავე?

**ეკდ.** დავამარილე კიდეც. გემრიელი და ნაზი ხორცი აქვთ ამ ბაჭიებსა. ტკბილი... შაქარია, რაღა, შაქარი. მშვიდობით ყმაწვილებო. (გადის თავის ოთახში).

**მოლ.** (ადგება) მომიტევეთ... აღარ შემიძლიან, ჩემთვის საჭიროა, გავიდე... (სწრაფად გადის).

**რელ.** (მისძახებს) სოდის წყალი დალიე. (ჰიალმარს) დავლიოთ მოხუცი ნევროდის სადღეგრძელო! (ჰიალმარი და რელლინგი ჭიქებს აჯახებენ).

**ჰიალმ.** ღმერთმა აცოცხლოს სამარის კარამდის მიღწეული, მაგრამ ახლაც დაუღალავი მუშაკი!

**რელ.** ჭაღარას გაუმარჯოს! (სვამს) ერთი მითხარი თუ ღმერთი გწამს, ჭაღარა აქვს მამაშენსა, თუ სულ თეთრი თმა.

**ჰიალმ.** ორთავენია, თუმცა იმის თავზედ სულ რამდენიმე ბეწვი და ჰკიდია.

**რელ.** ტყუილი თმებითაც შეიძლება ცხოვრება ამ ქვეყნად. სწორედ რომა ვთქვათ, ბედნიერი კაცი ხარ, ეკდალ. შენა გაქვს ცხოვრების გარკვეული მიზანი, რომლისაკენაც მიისწრაფვი.

**ჰიალ.** დიაღ, მივისწრაფვი.

**რელ.** გყავს ესეთი კარგი ცოლი. შეხე როგორ დაფუსფუსებს და დარბის თავისი ნაბდის ფეხსაცმელებით, დააქნევს გვერდებს, შრომობს და ზრუნავს შენთვის.

**ჰიალ.** გინა? დიაღაც! (თავს უქნევს გინას) შენა ხარ ჩემი ცხოვრების ჭეშმარიტი, ნამდვილი მეუღლე.

**გინა.** თავი დამანებეთ ერთი, კრიტიკანებო.

**რელ.** მერე შენი ქალი, ეკდალ.

**ჰიალმ.** ჰო, ქალი, ჩემი გოგონა ყველაზედ უწინ. მოდი ჩემთან, ედვიგ! თავზედ ხელს უსვამს) ხვალ რა დღეა?

**ედვ.** (კალთას ჩამოსწევს) არა, არა, მამა, ნუ იტყვი...

**ჰიალ.** გული მიწუხს და სევდანაღველით მევსება, როცა წარმოვიდგენ, რომ არ შეიძლება უფრო ბრწყინვალედ ვიდღესასწაულოთ იგი. მხოლოდ უქმე დღის დეკორაცია ფარდულში.

**ედვ.** აჰ, რა კარგი და ლამაზი იქმნება!

**რელ.** მაგრამ მოითმინე, ედვიგ სანამ ეს დაათავებს თავისს გამოგონებას

**ჰიალ.** ჰო, ჰო, აი ნახავ. მე გადავწყვიტე, ედვიგ, უზრუნველ ვყო შენი მომავალი. სიკვდილამდე არაფერი უნდა გაგიჭირდეს. მე მოვითხოვ შენთვის რამეს. ეს იქმნება ერთად-ერთი საჩუქარი საწყალი, ღარიბი გამომგონისთვის.

**ედვ.** (ხელს მოხვევს და უალერსებს) კარგო, კეთილო მამა!

**რელ.** (გრეგერსს) ნუ თუ თქვენთვის სასიამოვნო არ არის ხანდისხან მაინც შეექცეოდეთ კარგს საუზმეს ბედნიერ ოჯახის კერასთან.

**ჰიალ.** ჰო, მე დიდად ვაფასებ ამ საათებს გაშლილი სუფრის წინ.

**გრეგ.** რაც შემეხება მე, ამ ჭაობიან ჰაერს სრულებითაც არ ვაფასებ.

**რელ.** ჭაობიან ჰაერს?

**ჰიალ.** ეჰ, ნუ მოჰყვება კიდევ სისულელის ლაპარაკს.

**გინა.** ჩვენსა ჭაობიანი ჰაერი სრულებითაც არ არის, ბ-ნო ვერლე. ყოველ დღე კარ-ფანჯარას ვაღებ, რომ ქარმა გაუაროს.

**გრეგ.** (ადგება) იმ აყროლებულ ჰაერს, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, რასაკვირველია, ფანჯრებისა და კარებების გაღებით ვერ გაიყვანთ სახლიდგან.

**ჰიალ.** აყროლებულ ჰაერს?

**გინა.** შენ რას იტყვი ამაზედ, ეკდალ?

**რელ.** უკაცრავად, მაგრამ იქნებ თქვენ თითონ მოიტანეთ ქარხნიდგან ეგ აყროლებული ჰაერის სუნი?

**გრეგ.** თქვენგან არ მიკვირს, როცა აყროლებულს ეძახით იმას, რაც მე შემაქვს სახლებში.

**რელ.** (მიდის მასთან) მომისმინეთ, ბ-ნო ვერლე უნცროსო, ვეჭვობ, რომ თქვენ შეუცვლელად ატარებთ მარცხენა ჯიბით თქვენს იდეალურ საკითხებს.

**გრეგ.** ისინი მე გულით დამაქვს.

**რელ.** ჯანდაბას, რათაც გინდა ატარე, მაგრამ გირჩევ ისინი აქ არ წამოაყენო.

**გრეგ.** მე რომ მაინცა ვცადო?

**რელ.** იცოდეთ, კისრი კვრით ჩაგიძახებთ კიბიდგან.

**ჰიალმ.** (ადგება). რელლინგ!

**გრეგერ.** რა ვუყოთ, ჩამიძახეთ!

**გინა.** (შუაში ჩადგება). თქვენ ამას არ იზამთ, რელლინგ! თქვენ კი, ბ-ნო ვერლე, იმას გეტყვით, რომ იმის შემდეგ, რაც სისაძაგლე მოახდინეთ თქვენს ოთახში, ნება აღარა გაქვთ, აყროლებულ ჰაერზე ილაპარაკოთ. (ტალანიდგან შემოსავალ კარს აკაკუნებენ).

**ედვ.** ვილაც არის, დედა.

---

)* იხ. „სახ. გაზეთი“ № 675.

# ბეჭდვითი საქმე.

ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს უფროსმა, გრაფმა ს. ს. ტატიშჩევმა მეოთხე სათათბიროში წარსადგენად შეიმუშავა ახალი კანონ-პროექტი.

ტატიშჩევს შემდეგი დებულებანი დაუდვია სარჩულად ამ კანონ-პროექტისათვის:

ა) ყოველ ბეჭდვითი საქმეს სასამართლო განიხილავს.

ბ) ბეჭდვითი საქმის პასუხმგებლობა იმას უნდა დაეკისროს, ვინც ნამდვილი დამნაშავეა. უპირველესი პასუხისმგებელი გამომცემელია, ვინაიდან მას ნება არა აქვს არ იცოდეს თუ რასა ჰბეჭდავს; და თუ კი მისი გამოცემა სა-წინააღმდეგოა, პასუხსაც სასამართლოს წინაშე აგებს. მესტამბეთა პასუხისმგებლობა საფრანგეთის კანონმდებლობითაც არის მოხსენებული. მესტამბე მაშინ აგებს პასუხს, თუ ვერ მიაგნეს რედაქტორსა და გამომცემელს; ეს კი ხშირად ხდება, როდესაც აკრძალულ წიგნებსა თუ ფურცლებსა ჰბეჭდავენ. რედაქტორის პასუხისმგებლობაო, — ამბობს ტატიშჩევი—ჯერ გადაუწყვეტელი მაქვს.

გ) სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საჭიროა ახალ მუხლების ჩართობა იმ დანაშაულობის სასჯელად, რომელნიც ახლა არ არის მოხსენებული.

დ) ისეთი წესი უნდა შემოვიღოთ, რომ ბეჭდვითი საქმის გარჩევა სწრაფად ხდებოდეს. არსებული წესი შეუწყნარებელია. დანაშაულობის ჩადენასა და გამართლების შუა დიდი დრო გადის.

ე) ბეჭდვითი საქმის დანაშაულობისათვის არსებული სასჯელი შეუწყნარებელია და მეტად სუსტია, უნდა გადიდდეს: სასჯელი უნდა ხარისხებად დაიყოს, უმცირესიდან უმაღლესამდე.

ტატიშჩევის აზრით უმჯობესი იქნება თუ სასამართლოში მომჩივანად და ბრალმდებლად გამოვლენ საცენზურო კომიტეტის წევრნი. („რ. ს.“)

# სამხედრო წესები კრონშტადტში.

კრონშტადტის კამენდანტმა გენერალ-მაიორმა ნიკოლენკომ ასეთი განცხადება გამოაკრა:

„რუსეთის იმპერიის კანონდებულებათა მე-II ტომის, მე-17 პარაგრაფის ოცდა-მესამე მუხლის ძალით, ყველა ის სამოქალაქო პირნი, რომელნიც სამხედრო წოდებას არ ეკუთვნიან, ციხე-სიმაგრის ფარგლებში იმყოფებიან, სამხედრო სამართალში მიიცემიან და სამხედრო წესის დროს წარმოებულ კანონის ძალით გასამართლდებიან შემდეგ დანაშაულობისათვის:

ა) უმაღლეს მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისა და სახელმწიფო ღალატისათვის.

ბ) განზრახ ცეცხლის მოკიდებისა, ან სამხედრო ხელ-საწყოსა და იარაღის გაფუჭებისათვის და საზოგადოდ, ყველა იმ ნივთა გაფუჭებისათვის, რაც კი თავისდაცვისა თუ დაცემის იარაღს წარმოადგენს ან სურსათსა და ბარგს.

გ) საომარ ფარგლებში მყოფ წყლის მილისა, ხიდებისა, გოდორ-ყურეებისა, მარქაფასი, წყლის დასაქანისა, ჭებისა, გზებისა, ფონისა ან მიმოსვლის სხვა საშუალებათა (წყლით თუ ხმელეთით) წყალ-დიდობის ასაცილებელ საშუალებათა თუ წყლის საზიდ გზების გაფუჭებისათვის.

დ) პასუხისგებაში მისცემენ იმათ, ვინც გააფუჭებს: ა) ტელეგრაფს, ტელეფონს ან სხვა მოწყობილებას ამბების გადასაცემად. ბ) ვინც დააზიანებს რკინის გზას, მატარებლებს, ან რკინის გზაზე და წყალზე უბედურების ასაცდენ ნიშნებს.

ე) პასუხისგებაში მიიცემა, ვინც დაეცემა დარაჯს ან სამხედრო ყარაულს, ან წინააღმდეგობას გაუწევს სამხედრო ყარაულს, სამხედრო თუ სამოქალაქო პოლიციას, მოჰკლავს დარაჯისა თუ მოდარაჯე პოლიციის წევრს“.

გენერალ ნიკოლენკოს განკარგულებით დაიკეტა 10 სამიკიტნო, საიდანაც ჯარსა და მეომრებს მაგარი სასმელები მიჰქონდათ.

# მოსკოვის ყაჩაღ-ქურდთა ბრბოს დაჭერა

ამას წინად მოსკოვის დამცველმა პოლიციამ აღმოაჩინა 36 ბოროტ-მოქმედება, ერთი დიდი ბრბოისაგან ჩადენილ-ნამოქმედარი. ეს 36 ბოროტმოქმედებაა—14 მკვლელობა, დანარჩენი იარაღით გაძარცვა. ბოროტმოქმედებათა ჩადენის დროს მოუკლავთ 18 კაცი და 4 დაუჭრიათ.

ეს ბრბო დიდი ხანი მოქმედებდა თურმე. მისი წევრები სხვა და სხვა ხელობის ხალხი იყო და მათი დაჭერა აგრე ადვილი როდი ყოფილა. გარდა ამისა, ძალიან საიდუმლოდ მოხდებოდა ყოველივე; ერთმანეთსაც მეტსახელებს ეძახდნენ. ბრბოის მოთავე ძალია სასტიკი ადამიანი ყოფილა და ამხანაგებს ძალიანაც ჰშინებიათ, რადგან მოკვლასაც არ დაერიდებოდა ხოლმე თურმე უფროსი.

ბრბოს მოთავეს ერქვა „საშკა სემინარიელი.“ იგი ყოფილა თემნიკის მდაბიო მოქალაქე ალექსანდრე სამიშკინი. სამიშკინი წინად პენზის სემინარიაში ყოფილა; ზარმაცობის გამო იქიდან დაუთხოვნიათ. სამიშკინს დაუწყია ატესტატის მისაღებად მზადება, მაგრამ მოსკოვში არაფერს აკეთებდა თურმე და რაც მშობლებისაგან ფული მისდიოდა, სულ ხარჯავდა ქეიფსა და ლოთობაში. ამ დროსვე გასცნობია ზოგიერთ პატარა ქურდსა. სამიშკინს ხელში ჩაჰვარდნია პარიზის ყაჩაღების თავგადასავალის წიგნი და რო წაუკითხავს, გადაუწყვეტნია ყაჩაღობის დაწყება.

სამიშკინის მარჯვენა ხელი ყოფილა „კოლია ფრანგი“. „კოლიას“ წინად რკინის გზაზე უმსახურნია. მარჯვენა ხელის თითები გაფუჭებული ჰქონია და ეს ხელი ყოველთვის ჯიბეში ჰქონდა თურმე. ამას უფრო გაუადვილებია მისი დაჭერა. ბრბოში სხვებიც ყოფილან.

„ერთი — „კოსკა“, გამოტეხილა: შოფფერები ჩვენ დავხოცეთო. ეს კოსკა ყოფილა, ავტომობილი რო გაუქანებია, მაგრამ ბოლოს არხში გადაუგდია ეტყობა—ბრბოში სხვანიც ბევრნი არიან.

ყაჩაღ-ბანდიტები სულ ახალგაზდანი ყოფილან და ყველას თავისი სატრფო ჰყოლია, თუმცა ეტყობა, სატრფოებს ყაჩაღობაში წილი არა სდებიათ.

ყაჩაღთა ბრბო დათარეშობდა განსაკუთრებით მოსკოვისა და ვლადიმერის გუბერნიებში. ნაძარცვს ქალაქებში ჰყიდდნენ, ნაწილს მიწაში ინახავდნენ.

უკანასკნელ ხანს ბრბო ძალიან წათამამებულა, განსაკუთრებით შოფფერების დახოცვის შემდეგ. ვორობიოვის მთებზე, სხვათა შორის, გაძარცვეს ვაჭარი მილოვანოვი. მილოვანოვისათვის, სხვათა შორის, კუპონებიც წაერთმიათ და ამას მიაქცია პოლიციამ ყურადღება. ბოლოს პოლიციამ შეიტყო—ილიინკაში ვიღაც ორი კაცი კუპონებსა ჰყიდისო, იმ წუთსავე აფრინეს იქით პოლიცია. ყაჩაღთა დაჭერის დროს 3 ათას კაცამდე შეგროვილიყო.

ზარაფხანაში პოლიციელებმა ისე უცაბედად სტაცეს ხელი ყაჩაღთა ბელადს, რომ დაიბნა და წამოიძახა: გმორჩილდებითო. იმწუთსავე იარაღი აჰყარეს: წაართვეს ბრაუნინგის რევოლვერი და ჰატრონები. უპოვნეს აგრედვე დიდ-ძალი კუპონები და ტყვია-წამალი. დამცველ პოლიციაში სამიშკინმა სცადა გაქცეულიყო დი მიხაილოვის მოკვლა დააპირა.

სამიშკინის ამხანაგი „კოლია ფრანგი“ ორ დღეს შემდეგ დააპატიმრეს. იგი ტრაქტირში რო შედიოდა, პოლიციელები უთვალთვალებდნენ; შეატყეს ვინც იყო—მარჯვენა ხელი ჯიბეში ჰქონდა—და დაიჭირეს. იგი აღმოჩნდა ნიკოლოოზ ფრანცუზოვი.

დამცველ პოლიციაში სამიშკინი და ფრანცუზოვი მედიდურად იქცეოდნენ თურმე, მაგრამ როდესაც ყველაფერი დაუმტკიცეს—სამიშკინი ყველაფერს გამოტყდა.

ბრბოს აუარებელი მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა ჩაუდენია. უკანასკნელ ხანს მოუკლავთ შოფერი და ზეინკალი სავინოვი. სამიშკინმა ამ საქმეს „საზარელი“ უწოდა.

შოფერის მოკვლა მოუნდომებიათ ავტომობილის გატაცებისათვის, ჰსურდათ ზოგიერთი მკვლელობანი ავტომობილის საშუალებით ჩაედინათ. პირველად უნდა გაეძარცვათ მეძხვე ივანოვი. ავტომობილით მინავალა სამიშკინი, ფრანცუზოვი და პავლიუჩკოვი. დანარჩენები რკინის გზით მოსულიყვნენ, ბუქტიაევი მაშინ დაჭრილი ყოფილიყო და სამიშკინს ეხვეწებოდა თურმე—სიცოცხლე მაჩუქეო. ნადირსა და მხეცს ადამიანს არ დაუნდვია და ორივე შოფერი თითონ მოუკლავს ყაჩაღთა ბელადს.

დაპატიმრებულთა ბინაზე დიდძალი თოფ-იარაღი უპოვნიათ. უპოვნიათ აგრეთვე ბევრი ნაძარცვი. ერთის ბინაზე ის საწამლავიც უპოვნიათ, რითაც ყაჩაღებს სოფელ ალექსეევკოში ნიკიფოროვის ქალის ძაღლი მოუწამლავთ.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

16 აგვისტო.

### საზღვარ-გარედ

**სანოვაგის დაძვირება**

**ბერლინი.** სანოვაგის გაძვირებამ, განსაკუთრებით ხორცისამ, გერმანიაში დიდი მღელვარება გამოიწვია. ქალაქთა წარმომადგენლების კრება იმოქმედებს იმისათვის, რომ ჰოლანდიასა და დანიიდან სანოვაგის შემოტანა გაძლიერდეს. შუამდგომლობა აღძრეს ბაჟის შემცირების თაობაზე.

**წყალ-დიდობა**

**ლონდონი.** ეს რამდენიმე ხანია შეუწყვეტლივ წვიმს. პურის ძნები წვიმამ მთლად გააფუჭა. ყველას გული გასტეხია და ჭირნახულის გადარჩენის იმედი აღარა აქვს. ჩრდილოეთის უელსში წყალმა რკინის გზის ლიანდაგი წალეკა. მანჩესტერში ეს ოცდა-ხუთი და მენსტერში—ორმოცი საათია, რაცა წვიმს.

წყალ-დიდობა არ შეწყვეტილა. წვიმას ქარიშხალი ერთვის. დიდძალი შენობები წალეკა წყალმა. ტელეფონი და ტელეგრაფი ვეღარა მოქმედებს,

**ბერლინი.** წყალ-დიდობის გამო ბერლინიდან გაგზავნილი დეპეშები ჰოლანდიითა და ბელგიით მიდის ინგლისს.

**მონგოლები**

**კოშაგაჩი.** 7 აგვისტოს საღამოს, მონგოლებმა იერიშით კობდო აიღეს. ნახევარი ქალაქი გადაბუგულია. სიმაგრეზე თეთრი დროშა ააფრიალეს. ჩინელებმა რუსეთის კონსულთან ბოდიში მოიხადეს და სთხოვეს, დაგვეხმარენით და სამშობლოში გაგგზავნეთო.

**კულჯა.** ურუმცის ოლქში მონგოლები ამბოხებულან. ჩინეთის ფულის მაზანდა დაცემულია. ვაჭრობა მინელებულა.

**ოსმალეთი, ჩერნოგორია და ალბანეთი**

**სტამბოლი.** ოსმალეთი ჩერნოგორიის ჯარის დემობილიზაციას მოითხოვს. ოტომანთა სააგენტო იუწყება, ჩერნოგორელებმა დაბა პოლეგრახზე იერიში მიიტანესო. დიაკოვოში ალბანელებს იარაღის საწყობი ჩაუგდიათ ხელთა.

**ვენა.** „ნეიე-ფრაიე-პრესეში“ დაბეჭდილია ინტერვიუ ალბანელთა ბელად იზმაილ-ქემალ-ბეისთან. იმას განუცხადებია, ალბანეთი ოსმალეთის ჩამოშორებას არ აპირებსო. ალბანელები გულ-წრფელად გრძნობენ თავს ოსმალეთის მოქალაქეებად; ალბანელთა მოძრაობა გათავდა, მაგრამ თუ რეაქცია ხელმეორედ წამოჰყოფს თავსა, ალბანეთი კიდევ აღსდგებაო.

**სტამბოლი.** დიაკოვოს ახლო ორი ათასი ალბანელი შეგროვილა. პორტას ატყობინებენ, ჩერნოგორია 13 აგვისტოს დემობილიზაციას შეუდგაო.

**ოსმალეთი და სერბია.**

**სტამბოლი.** ოტომანთა სააგენტო შემდეგს იუწყება: პორტას მიერ მიღებული დეპეშები სრულიად უარჰყოფენ იმ ამბავს, ვითომ სენიცასა და ბელოპოლში სერბიელები აეწიოკებინოთ. საქმე ისა ყოფილა, რომ მცხოვრებლებს რომ გაუგიათ, იპეკში ალბანელებმა თოფ-იარაღის საწყობი ჩაიგდეს ხელთაო—ძალიან შეჰშინებიათ. ოსმალეთის ურთიერთობა სრულიად უარჰყოფს გაზეთების ყალბ ცნობებსა. ოსმალეთის და ბულგარეთის ურთიერთობა წინანდებლივ კარგია. იმ მოქადაგეებმა, ბულგარეებს რომ აღიზიანებენ, კარგად იციან იმ ყუმბარათა ამბავი, ბულგართა, მაჰმადიანთა და ებრაელებს რო ჰხოცავს. გახგებ მოხერხებულმა ხმაურობამა და შფოთმა-დავიდარაბამ საზოგადოება ვერ უნდა მოატყუოსო.

**ბელგრადი.** „სამოუპრავა“ სენიცაში მაკედონელთა ამოჟლეტის გამო სწერს: სერბიელებს ოსმალთათვის ამისთანა სისასტიკისათვის საბუთი არა მიუციათ რა. ამიტომ ეს ამბავი მძიმე ლოდათ დასწოლია ყველა სერბიელსა და ოსმალეთისადმი უკმაყოფილებას იწვევს. ამ ამბავმა მთლად ქვეყანას დაუმტკიცა, რომ ოსმალეთს არა აქვს თავის მცხოვრებთა ქონებისა და სიცოცხლის დაცვის უნარი. ოსმალეთმა სამართლიანობა უნდა დაიცვას, თუ არა, დაამტკიცებს, რომ მოვალეობის ასრულება არ შეუძლიანო.

გუშინ მინისტრთა საბჭოს მეფის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა. დადგენილება' დიდ საიდუმლოდ ინახავენ. ამბობენ, ტრიფკოვიჩის კაბინეთი ჩქარა გადადგებაო. მის მაგივრად პაშიცის საკოალიციო კაბინეთი იქნება. საჩქაროდ მოიწვევენ სკუპჩინას.

**პოპოვიჩის მოკვლის საქმე.**

**ბელგრადი.** პოპოვიჩის მოკვლისა და სერბიელების ამოჟლეტის გამო, მთავრობას იავორში საბაჟოს მმართველი გაუგზავნია საქმის ვითარების გამოსაკვლევად. გაგზავნილმა კაცმა დაადასტურა პოპოვიჩის მოკვლის ამბავი და ისა, რომ ოსმალეთისაგან დევნილი სერბიელები უმწეო მდგომარეობაში არიანო. მთავრობას დაუვალებია სტამბოლში მყოფ თავის ელჩისათვის, ოსმალეთს პასუხი მოსთხოვეო. მთავრობა მცხოვრებლებს მოუწოდებს: დამშვიდდით და საბაჟოს მმართველის დაწვრილებით მოხსენებას მოუცადეთო.

**ჩ ი ნ ე თ ი.**

**მუკდენი.** ჯაოერსუნმა ხელი აიღო გირინისა და ციციკარის მმართველობაზე და ამიერიდან მხოლოდ მუკდენის პროვინცია ექნება ჩაბარებული.

**იტალია და ოსმალეთი.**

**რომი.** რადგან ოსმალეთმა აღიარა ტრიპოლისა და კირენაიკის დაკარგვა და იმის გამო, რომ იტალიის კაბინეთი თანახმაა აღიაროს პორტის სუვერენიტეტი—იმედი აქვთ ზავის ჩამოგდებისა. საქმეს კუნძულები აფერხებს, რადგან ეს სხვა სახელმწიფოებსაც შეეხება. ამბობენ, იტალია კუნძულელთათვის მოითხოვს რასმე, რადგან იტალიელებს შეხვედრიან, ვით ოსმალეთის მონობისაგან განმათავისუფლებელთაო.

**სტამბოლი.** ბეირუტის ნავთსადგურში იტალიის 6 კრეისერი მისულა.

**რომი.** „კორიერე-დე-ვასერა“ ირწმუნება, იტალიასა და ოსმალეთს შუა კერძო მოლაპარაკებაა ზავის ჩამოგდების თაობაზე.

**კოკოვცევი და მაკაროვი.**

**პეტერბურგი.** — [illegible] ბიურო იუწყება: ტყუილიაო უკანასკნელ დროებში დავარდნილი ხმა, ვითომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და შინაგან საქმეთა მინისტრს უთანხმოება ჰქონოდეთ, განსაკუთრებით შინაგან პოლიტიკის ნიადაგზეო.

**გაზეთების დაჭერა.**

**პეტერბურგი.** ბეჭდვითი სიტყვის პეტერბურგის კომიტეტს დაუდგენია დაიჭიროს გაზეთ „გროზას“ 15 აგვისტოს ნომერი, სადაც მოთავსებულია ფელეტონი: „პოლიტიკის სისულელეები“.

იმავე კომიტეტს დაუჭერინებია გაზეთ „პრავდას“ ოთხმოცდამეათე ნომერი, სადაც მოთავსებულია ორი არასასურველი წერილი: „სიტყვა და საქმე“ და „საიდუმლო დოკუმენტები“.

# სხვა და სხვა ამბავი

**საიდუმლო შეთანხმება.**

ოქტომბრისტების გაზეთი „გოლოს მოსკვი“ ძალიანა სწუხს, პატარა ჩერნოგორიასაც კი დაუჯაბნივართ და გვატყუებს რუსებსაო. ჯერ ერთიო, 1897 წლიდან მოყოლებული ყოველ წლივ 175 ათასს ვაძლევთ სამხედრო საჭიროებისათვის, ნეტა რათა, სადაური სამართალიაო კითხულობს გაზეთი.

ეხლა გაზეთი ერთ ახალ ამბავს გაუბრაზებია. თურმე, ნუ იტყვით, პატარა ჩერნოგორია რუსეთის მტერს ავსტრო-ჰუნგრეთსაც დაჰმეგობრებია და 1907 წ. საიდუმლო ხელშეკრულება დაუდვეს 20 წლის ვადათ. აი საიდუმლო ხელშეკრულების ვითარება.

ავსტრია ყოველ წლივ აძლევს ჩერნოგორიის მეფეს 360 ათას კრონს დინასტიის განსამტკიცებლად. თუ ოსმალეთი როდისმე თავს დაესხა ჩერნოგორიას, ავსტრია ფულით და დიპლომატიით უნდა დაეხმაროს და თუ ჩერნოგორია დამარცხდა, მისი ხელუხლებლობა უნდა უზრუნველჰყოს. თუ ჰაბსბურგთა დინასტიამ მოახერხა ბალკანეთის კონფედერაციის დაარსება, ჩერნოგორიას ამ კონფედერაციაში ფართო უფლებიანი ავტონომია ექნებაო.

ახლა ისიცა ვნახოთ, ჩერნოგორია რასა ჰპირდება ავსტრიასა.

ჩერნოგორია მოვალეა ხელი არ შეუშალოს ავსტრიის მიერ ბოსნია-ჰერცოგოვინის დასაკუთრებას და ნება არა აქვს რაიმე მოლაპარაკება გამართოს უავსტრიოდ სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით—რუსეთსა, იტალიასა და სერბიასთან.

მაგრამ ყველაზე საინტერესო რუსებისათვის მეექვსე მუხლი ყოფილა. თუ ვინიცობაა ავსტრიამ რუსეთს ომი გამოუცხადოს, ჩერნოგორია მოვალეა სრული მიუდგომლობა და ნეიტრალიტეტი დაიცვას. თავის მიწა-წყალზე ჩერნოგორიამ ნება არა-

---

**ჰიალმ.** აი, აბა, ხედავ, ახლა უნდა აქედან გავიდეთ.

**გინა.** გამატა! (მიდის, კარებს აღებს, უცბად შეკრთება და უკან დაიწევს). ღმერთო!

**ვერლ.** (ქურქით ერთს ნაბიჯს გადმოსდგავს). უკაცრავად მგონი აქა სცხოვრობს ჩემი შვილი?

**გინა.** (ჩუმი ხმით). დიაღ.

**ჰიალმ.** (მიუახლოვდება). ნება მიბოძეთ გთხოვოთ, ბ-ნო ვერლე...

**ვერლ.** დიდად გმადლობთ. ჩემი შვილის ნახვა მინდა.

**გრეგ.** საქმე რაში მდგომარეობს—მე აქა ვარ.

**ვერლ.** მინდა შენს ოთახში მოგელაპარაკო.

**გრეგერ.** ჩემს ოთახში? კარგი. (წასვლას აპირობს).

**გინა.** მერე, ოთახი რა სახით არის..

**ვერლ.** მაშ ტალანში მინდა მარტოდ-მარტოს გელაპარაკო.

**ჰიალმ.** ეგ აქაც შეიძლება ბ-ნო ვერლე, წავიდეთ ჩემს ოთახში, რელლინგ. (ჰიალმარი და რელლინგი მარჯვნივ გადიან; გინა და ედვიგი—სამზარეულოში).

**გრეგ.** (მოკლე სიჩუმის შემდეგ). აბა... ჩვენ ეხლა მარტონი ვართ.

**ვერლ.** გუშინ შენ რამდენიმე აზრი გამოსთქი და რადგან ეკდალთანაც გადმოხვედი, მე უნებლიედ უნდა მეფიქრა, რომ ჩემს წინააღმდეგ რაღასაც აპირობ.

**გრეგ.** მე გადავწყვიტე ჰიალმარ ეკდალს თვალი აუხილო; იმან თავისი მდგომარეობა უნდა სიმართლის სხივში დაინახოს. მხოლოდ ეს, სხვა არაფერი.

**ვერლ.** ამაში მდგომარეობს შენი ცხოვრების მიზანი, რომელზედაც გუშინა ლაპარაკობდი?

**გრეგ.** დიაღ, სხვა მიზანი შენ ჩემთვის არ მოგიცია.

**ვერლ.** განა მე მაბრალებ მაგ შენი გონების დამახინჯებას?

**გრეგ.** შენი ბრალია მთლად ჩემი ცხოვრების დამახინჯება. აქ სახეში დედაჩემი არა მყავს. მაგრამ მხოლოდ შენგნით კი ვარ დავალებული ჩემი სვინიდისის ქენჯნით.

**ვერლ.** ა! მაშ სვინდისთანაც ვერა ხარ კარგს განწყობილებაში?

**გრეგ.** დიაღ, მე უნდა შენს წინააღმდეგ წავსულვიყავ ჯერ მაშინვე, როცა შენ ბადეს უგებდი ლეიტენანტ ეკდალს. მე ვალდებული ვიყავი ის გამეფრთხილებინა, რადგან ვხედავდი...

**ვერლ.** ჰო, მაშინ იქნება მართლაც ვალდებული იყავი ყველაფერი გეთქვა.

**გერ.** მაგრამ ვერ გავბედე. მე ვიყავი მშიშარა, ისეთი უძლეველი, განუზომელი შიში მქონდა მაშინ შენი და მერეც ბევრს ხანს...

**ვერლ.** მაგ შიშმა მგონი ეხლა გაგიარა.

**გრეგ.** საბედნიეროდ, დიაღ. ყველა იმ შეცდომათა გასწორება, რაც მოხუცი ეკდალის წინაშე მიგვიძღვის მეცა და სხვებსაც შეუძლებელია. მაგრამ ჰიალმარს კი ვიხსნი სიცრუის იმ ატმოსფერიდგან, რომელშიაც ის იღუპება.

**ვერლ.** მერე მაგითი, თუ ფიქრობ, კეთილს საქმეს ჩაიდენ?

**გრეგ.** მაგაში სრულიად დარწმუნებული ვარ.

**ვერლ.** თუ გგონია, ფოტოგრაფი ეკდალი ისეთი კაცია, რომ მადლობას გადაგიხდის მაგვარ მეგობრულ სამსახურისთვის?

**გრეგ.** დიაღ, ის მაგისთანა ადამიანია.

**ვერლ.** ჰმ... ვნახოთ.

**გრეგ.** ამის გარდა თუ ცოცხალი დავრჩი, ვეცდები ჩემი ავადმყოფი სინიდისი გავიკურნო.

**ვერლ.** სინიდისი საღი თავისს დღეშიც არ გექნება. ავადმყოფი სინიდისი ბავშვობიდანვე გაქვს. ეგ დედის მემკვიდრეობაა. ერთად ერთი მემკვიდრეობა, რომელიც მან დაგიტოვა.

**გრეგ.** (დამცინავი ღიმილით) შენ მაინც ვერ შერიგებიხარ იმ აზრს, რომ მდიდარი მზითვის აღებაში მოსტყუვდი?

**ვერლ.** ნუ შევეხებით ისეთ საგნებს, რომელთაც ჩვენს ლაპარაკთან დამოკიდებულება არა აქვთ... ასე რომ შენ მაინც აზრადა გაქვს იმ გზაზე დააყენო ფოტოგრაფი ეკდალი, რომელიც შენ ნამდვილი გგონია?

**გრეგერ.** ჰო, აზრადა მაქვს.

**ვერლ.** ასე რომ შემეძლო ამ დარბაზობიდან გამენთავისუფლებინე. ეხლა, რასაკვირველია, უაზრო იქმნება, გკითხო, დაბრუნდები ჩემს სახლში არა?

**გრეგ.** უაზროა.

**ვერლ.** კარგი, მაგრამ რადგანაც მეორე ცოლს ვირთავ, ამიტომ მთელი ქონება უნდა შუაზე გავიყოთ.

**გრეგ.** (სწრაფად) ეგ მე არა მსურს.

**ვერლ.** არა?

**გრეგ.** სინიდისი მაგის ნებას არ მაძლევს.

**ვერლ.** ქარხანაში დაბრუნდები?

**გრეგ**, არა, შენს სამსახურზე ხელი ავიღე.

**ვერლ.** მაშ რა უნდა აკეთო?

**გრეგ.** ავასრულო ჩემი ცხოვრების მიზანი. სხვა არაფერი.

**ვერლ.** მერე, რითი უნდა იცხოვრო?

**გრეგერ.** ჯამაგირიდან გადავდე რამდენიმე ოქრო?

**ვერლ.** რამდენი ხანი გეყოფა მერე ეგა?

**გრეგერ.** მთელს ჩემს სიცოცხლეში მგონი მეყოფა.

**ვერლ.** მაგით რა გინდა სთქვა?

**გრეგერ.** ამის მეტს აღარას გიპასუხებ.

**ვერლ.** მაშ მშვიდობით, გრეგერს!

**გრეგ.** მშვიდობით! (კომერსანტი ვერლე მიდის).

**ჰიალ.** (შემოიხედავს) წავიდა?

**გრეგ.** ჰო. (შემოდიან ჰიალმარი და რელლინგი, გინა და ედვიგი).

**რელ.** ჩვენი საუზმე სრულიად წახდა.

**გრეგ** ჩაიცვი ჰიალმარ, უნდა კარგა მანძილზე გავისეირნოთ.

**ჰიალ.** დიდის სიამოვნებით. რად იყო მამაშენი? ჩემს თაობაზე ხომ არა?

**გრეგ.** წავიდეთ, უნდა მოგელაპარაკო. მხოლოდ ჩემს ოთახში შევალ და პალტოს ჩავიცვამ. (გადის ტალანში).

**გინა.** ნუ გაჰყვები, ეკდალ!

**რელ.** მართლაც, ნუ წაჰყვები. უმჯობესი იქნება სახლში დარჩე.

**ჰიალ.** რატომ? (იღებს ქუდსა და პალტოს) თუ მეგობარი საჭიროებს გარდმიშალოს თავისი გული...

**რელ.** ნუ თუ ვერა ჰხედავ, რომ ის რაღაც გადამახინჯებული სულისაა, გიჟია.

**გინა.** მაგის დედასაცა ჰქონდა მაგისთანა მანკი.

**ჰიალმარი.** მით უფრო საჭიროა მისთვის მეგობრის ფხიზელი თვალი. (გინას) სადილი ჩვეულებრივად მოამზადე. მანამ კი მშვიდობით. (გადის ტალანში).

**რელლინგი.** მენანება, რომ თავისმა მადნებმა ქვეშ არ მოიყოლოს.

**გინა.** ღმერთო! რას ამბობთ?!

**რელლინგი.** მე ჩემი აზრები მაქვს.

**გინა.** თქვენ ნამდვილადა გგონიათ, რომ ის გაგიჟდა?

**რელლინგი.** სამწუხაროდ, არა. ის ისეთივე გიჟია, როგორც მომეტებული სხვაც. მაგრამ რომ არც სრულიად საღია, ეს კი ჭეშმარიტებაა!

**გინა.** განა რა არის იმის თავს?

**რელლინგი.** როგორ გითხრათ აბა, ქ-ნო ეკდალ, პატიოსნობის ციებ-ცხელება სჭირს.

**გინა.** პატიოსნობის ციებ-ცხელება? ეგ რაღა ავადმყოფობაა?

**რელლინგი.** ეგ ჩვენი ეროვნული ავადმყოფობაა, მაგრამ მას მხოლოდ შემთხვევითი ავადმყოფობის ხასიათი აქვს. (თავს უკრავს). გმადლობთ საუზმისთვის. (გადის ტალანში).

**გინა.** (დადის აღელვებული ოთახში) ოხ, ეს გრეგერს ვერლე! ყოველთვის რაღაც ეგრეთი საშიშარი იყო.

**ედვიგი.** (მაგიდასთანა სდგას და დაშტერებით უცქერის დედას). რა საკვირველია ყველა ესა?!.

**ფ ა რ დ ა.**

(შემდეგი იქნება)

**გ. ნამორაძე.**

ვის უნდა მისცეს იმისთანა დემონსტრაციების გამართვისა, რასაც შეუძლიან მონარქიაში ცუდი მოძრაობის გამოწვევათ.

ეტყობა, ჩერნოგორიას საქმე ისე მოხერხებულად მოუწყვია, რომ რუსების მანეთიანებიც ჩადის მის ქისაში და ავსტრიის კრონებიცა. განა დრო არ არისო, დასძენს „გოლოს მოსკვი“, ჩვენი „მეგობრის“ ტაქტიკას ფხიზლად შევხედოთ და საქმე გამოვარკვიოთო?

## თეატრი და ხელოვნება

**ს. ვაქირი** (ქიზიყი) ორშაბათს 6 აგვისტოს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს“, „კიმოთეს ლეღვი“ და „ადვოკატთან“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. სცენის მოყვარეებს ემჩნეოდათ როლების ცოდნა. ქ. ნ. ვარდიაშვილმა მშვენივრად შეასრულა თავის როლი, არა უჭირდა რა ფ. ხუციშვილსაც აპოლონის როლში, ი. ალაზნისპირელი ნამდვილი სერგო იყო. მისმა თამაშმა ხალხი ბევრი აცინა. „ტიმოთეს ლეღვში“, როგორც ბატონს ისე მოსამსახურეს როლის უცოდნელობა ეტყობოდა. არა უჭირდათ რა ქ. კ. მოსაშვილს, ლ. ვარდიაშვილს და მ. მამ აშვილს. დანარჩენნიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

ამ ზაფხულამდე ს. ვაქირში არავითარი სცენის მოწყობილება არა ჰქონდათ. ბოლოს მღ. მ. ირაკლი ცინცაძემ, მისცა ახალგაზდებს 50 მანეთი ამ საქმისათვის. ამით დაიწყეს საქმე და ამ ზაფხულ უკვე მეორე წარმოდგენა გამართეს. შემოსავალი კარგი იყო ორივე ჯერ. ფული რაც დარჩა სამკითხველოს დასაარსებლად გადაუდვიათ. შრომისთვის მადლობის ღირსნი არიან ბ. ფ. ხუციშვილი, როგორც საქმეების გამგე და ქ. ვ. ვარდიაშვილისა. მღ. ირაკლი ცინცაძეს კი ულრმეს მადლობას უძღვნის შემოწირვისთვის საზოგადოება. **ძაუგელი.**

**ხონი. გვარაძის ბენეფისი.** ამ ჟამად ხონში სათეატრო საქმე კარგად მიდის. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. გვარაძესაც. გვარაძეს ბევრი შრომა დასჭირდა, რომ აქ სისტემატიურად წარმოდგენების მართვა მოეწესრიგებინა. გვახსოვს, როდესაც გვარაძე ხონში ჩამოვიდა, ორ-კვირაში ერთხელ იმართებოდა წარმოდგენები და ისიც არა სისტემატიურად. მას შემდეგ თეატრმა ხალხში ნდობა მოიპოვა, ხალხის სიმპატია დაიმსახურა. ამაში კი ყველაზე მეტად გვარაძეს უნდა ვუმადლოდეთ. ხსენებული მსახიობი ექვსი წელიწადია ხონის სცენაზე დრო და დრო თამაშობს, ამასთანავე რეჟისორობს კიდეც. არ გვახსოვს, რომ გვარაძეს როლი გაეფუჭებინოს. გვარაძე თავისი მოხდენილი თამაშით ყოველთვის ატკბობდა საზოგადოებას. იმედი გვაქვს საზოგადოებაც დააფასებს მობენეფისეს შრომას და მის ბენეფისს 19 აგვისტოს დაესწრება. **მაღალი.**

**სოფ. ცხინვალი.** 12 ამ თვეს ადგილობრივ კლუბის სცენაზე გამართეს საბავშვო საღამო. საღამოს პასუხის მგებელი მართველი და გამგე იყო გულიკო (გულბაათ) დავითაშვილი, მოწაფე ქუთაისის რეალურ სასწავლებლის; მოთამაშენიც ყველა პატარა ბავშვები იყვნენ; წაიკითხეს იგავ-არაკი „დემიანოვა უხა“ ნიკიტინის ლექსი „ჟენა იამშჩიკა“ და ითამაშეს „ბარის გადუნოვ“-იდან სცენა სამიკიტნოში, ლიტვის საზღვარზე.

ბავშვებმა კარგად წაიკითხეს ლექსები და მშვენივრად ითამაშეს სცენა „ბორის გადუნოვიდან“. ბევრად კარგები იყვნენ: გულიკო დავითიშვილი. სერგეი ზაზუნოვი და ლიუსია მაჩაბლის ქალი. მერე სცენაზე იცეკვეს ლიუსია მაჩაბელმა და გულიკო დავითიშვილმა. ბავშვები-მაყურებელნი ძალიან ნასიამოვნები დაიშალნენ თავიანთ ტოლი „პაწია არტისტების“ თამაშით. (მოთამაშენი—8—10 წლისანი არიან.) პაწია მსახიობთ, რომელნიც თვის შეგნებული, აზრიანი თამაშით ჩვენს „ნაფიც“ მსახიობთ აჯობებენ, მიიღეს დამსწრეთაგან მრავალი ტკბილეულობა. ვუსურვებ მათ წარმატებას დ სამშობლო ენაზე იმის გამართვას რაც მათ საუცხოვო შედეგით გამართეს ეხლა რუსულად.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ პატივცემულ „სახალხო გაზეთში“ ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების თელავის განყოფილების სასარგებლოდ 20 ივლისს გამართულ ილიას საღამოს ანგარიშს.

**შემოსავალი:** ბილეთები—260 მან. 40 კ. შემოწირულება 73 მან. 60 კაპ., ვახშამიდან—24 მ. 10 კაპ., ბუფეტიდან 37 მან. 58 კაპ. სულ 395 მ. 68 კ.

**ხარჯი:** ბილეთების და თხოვნის მარკები 18 მ. 54 კ., დეპეშები 4 მ. 10 კ. პარიკმახერს—7 მან., აფიშები 7 მან., ყინული 8 მან. დურგალს 1 მან. 50 კ. საზანდარს 10 მან., ბუფეტი 16 მან. 65 კ., დარბაზი და მუსიკა 28 მ., ქაღალდი, თოკი, ბენგალის ცეცხლი და სხვა წვრილი ხარჯი 16 მ. 37 კ., მოსამსახურეებს 9 მან. 90 კაპ. სულ 127 მან. 6 კაპ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 268 მ. 62 კაპ.

წ. კ. საზ. თელავის განყოფილების სახელით და ჩემის მხრივ გულითად მადლობას ვუძღვნი:

კნ. ელ. ჩოლოყაშვილისას, თავ. ილ. ვახვახიშვილს, არ. ჩხიკვაძეს და არ. მესხის, წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ბ-ნთ ი. გ. მონადირიშვილს და ან. ი. ჭიკაძეს მომღერალთა გუნდის მომზადებისათვის და თვით გუნდში მონაწილეობის მიმღებთ; კნ. ნ. ჩოლოყაშვილისას, თ. ხელაშვილისას, კნ. ნ. რუსიშვილისას, ბ. ბახუტაშვილისას, ქ-ნ ლომიძისას, კნ. ლ. ყარალაშვილისას აზაუროვისას. ალ. მამაცაშვილისას, ს. კურდღელაშვილისას და ბ-ნთ ვ. გამყრელიძეს, ვ. კოლიევს, ნ. ღუდუშაურს, მ. სუკაჩევს, მ. მაისურაძეს, ი. ჩოლოყაშვილს, ალ. ბაქრაძეს, და ლ. ყარალაშვილს.

თავ. ვ. სიდამონოვ-ერისთავს ცოცხალ სურათების დადგმისათვის და მონაწილეობის მიმღებთ: ნ. გოგოლაძისას, კნ. ელ. ჩოლაყაშვილისას, მ. მაჭავარიანისას, კნ. ს. ჭავჭავაძისას, ა. მაყაშვილს, ივ. კაკაბაძეს, ივ. გამყრელიძეს და ვ. ჭავჭავაძეს, აგრეთვე ბ-ნ ჩიკვაიძეს.

სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობის მიმღებთ: დ. მებუკეს, ი. მჭედლიშვილს და კიკნაძეს.

საღამოს გამართვაში ხელის შემწყობთ: მ. ი. შიუკაშვილს, კნ. ბ. მ. და თ. ს. ჯორჯაძეებს, არ. ტერ-სარქისოვს, შ. სარალიძეს, ალ. ტერ-გრიქუროვს, და ლ. მარქაროვს.

საკრებულოს მამასახლისთა საბჭოს-დარბაზის ნაკლებ ფასად დათმობისათვის.

ბუფეტში დახმარებისათვის კნ. ნ. ი. ერისთვიშვილისას, თ. ტვაიტს და თ. ნ. ერისთავს.

ფულის შემოწირულებისათვის: თავ. ზ. რ. ჭავჭავაძეს—2 მ., კნ. ა. ნ. ჭავჭავაძისას—2 მ., კნ. ნ. ზ. ჭავჭავაძისას 2 მ., დავ. მგალობლიშვილს 1 მ., თავ ზ. მ. რუსიშვილს 3 მან., ნინო სვ. რცხილაძეს 2 მან., თავ. ვაჩნაძეს 3 მან და ყველა იმ პირთ, ვინც ამ საღამოს გამართვაში რაიმე მონაწილეობა მიიღო და პირადად დასწრებით დახმარება აღმოუჩინა წ. კ. საზოგადოების თელავის განყოფილებას.

საღამოს დიასახლისი წ. კ. საზ თელავის განყ. გამგეობის წევრი **კნ. ქ. ი. რუსიშვილისა.**

განყ. გამგეობის ხაზინადარი **ვ პაატაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა უძღვნა პატივც. თავ. მიხეილ ზ. ვაჩნაძეს, რომელმაც 6 აგვისტოს ს. ბაკურციხეში თავის გამგეობით გამართულ წარმოდგენიდან ადგილობრივ სამრევლო სკოლის სასარგებლოდ გადმოსცა, როგორც სკოლის გამგეს, დარჩომილი წმინდა შემოსავალი 20 მანეთი. მადლობას ვწირავ წარმოდგენაში მონაწილე პირთ და ყველა იმათაც, ვინც კი რითიმე დაეხმარა წარმოდგენას.

სკოლის გამგე **მღ. ილია მაჭავარიანი.**

ბატონო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადო ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს დავითს, რომელმაც კეთილი ინება და შემოსწირა ჩემდა რწმუნებულს ესკოტის საეკლესიო სამრევლო ერთკლასიან სასწავლებელს „სახალხო გაზეთი“ 1912 წლის განმავლობაში.

ესკოტის საეკლ. სამრ. ერთ კლასიან სასწ. მ. წ. **მარკოზ კოპაძე.**

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ღრმად პატივცემულ კნეინა მაკინე ქაიხოსროს ასულ ამირეჯიბისას და ალექსანდრა სარდიონის ასულ კალატოზიშვილისას, რომლითაც ჩემს სასარგებლოთ 22 მანეთი შეაგროვეს. მადლობას ვწირავ აგრეთვე ყველა იმათ ვინც თვისი წვლილი არ დაიშურა.

ჟენევის უნ. სტუდ. **მ. იმხნელი.**

ქართული სათავად-აზნაურო სავაჟო გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოების საზოგადოება ულრმეს მადლობასა სწირავს კნეინა მაკრინე ქაიხოსროს ასულს ამირეჯიბისას, რომელმაც ამ სასადილოს სასარგებლოდ შეაგროვა და გამგეობას გადმოსცა 24 მანათი..

**გამგეობა.**

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ვეტცელის სასტუმროს გამგეს ბ-ნ ნოე გალახუნას ძე სიხარულიძეს, რომელმაც კეთილ ინება და მომავალ სამოსწავლო წლიდან თავის ხარჯით ზრდის ჩოხატაურის ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელში ათ ულარიბეს მოწაფეს, რომლებსაც მიიღებს ამავე სკოლის სამზრუნველო. შარშან ბ-ნ სიხარულიძის ხარჯით მიღებული იყო ექვსი მოწაფე.

ჩოხატაურის ორ-კლ. სასწ. გამგე **ბ. მეგრელიძე.**

ზემო ხსენებულ ბ-ნ ნ. გ. სიხარულიძეს ულრმეს მადლობას უცხადებს ჩოხატაურის უფასო სამკითხველოს გამგეობა სამკითხველოსთვის რამოდენიმე ჟურნალ-გაზეთების გამოწერისთვის ამა წლის უკანასკნელ ექვსი თვით.

ჩოხატაურის სამკითხველოს გამგეობის წევრნი **კ. ვერა ერისთავისა მღ. თ მეგრელიშვილი პ ჭანიშვილი ხ. თავართქილაძე ბ. მეგრელიძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ., ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ:** ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ:** სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში:** საგარაკო მ ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ:** **საფოსტო** № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ:** **სამგზ. და საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 ს 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან:** ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ, **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ, **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან:** ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ... ს. 40 წ.

**მცხეთიდან:** საგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან:** საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

### გემების მიმოსვლა საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები** ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

### სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს, **კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ. **ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ, **ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ. **ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ** და **მერკური**“ ტელ. 682.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ა. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71 |


## განცხადებანი

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის

**საბუღალტრო კურსები**

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—6)

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“—11—12 ს. **შეხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისადა ყელისა.

**მ. გ. ბეგტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბეგტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ნავასარდიანი.**

(წ. 1078.118)

გამოსულია და იყიდება

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **„მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**ქ. შ. წერა-კითხ. გავ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**

**იყიდება პროფ. ალ. ხახანაშვილის შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| ქართ. სიტყვიერების ისტორია . . . . . . . 1—25 კ. | О Сванетскихъ рукописяхъ и надписяхъ . . . . . . 60 „ |
| ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 „ | Правила VI Вселенск. собора 1 მ. |
| იმერეთის მეფე სოლომონ II . 25 „ | Трапезундская хроника . . . 1 „ |
| Матеріалы по груз. агіологій . 80 „ | Очерки по груз. культурѣ . . 30 კ. |
| Багратъ, Еписк. Тавроменійск. 1 მ. | О вступленіи на престолъ Императрицы Екатерин. II . 25 „ |
| Древнѣйшие предѣлы расселенія грузинъ по Малой Азіи 60 კ. | Политич. и культ. состояніе грузіи съ XIII по XVIII в. . 50 „ |
| Грузинск. дворянск. акты . . 60 „ | Аѳонскій списокъ 978 г. грузинской библіи . . . . . 40 „ |
| Месхи (этногр. очеркъ) . . 60 „ | Къ матеріал. по драмат. литературѣ XVIII в. . . . . 20 „ |
| Жизнь и дѣятельность Католикоса грузіи Антонія I . . 50 „ | Бальваръ и Іодасафъ, грузин. текстъ по рук. XI—XII в. . 60 „ |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны . . . . . . 60 „ | |

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1411.101).

ბაღი **„ედემი“** ვერაზე

მომჩქეფარე, მოჩრიალე ჩანჩქრებისა და ფოთოლთა შრიალის გამო „ედემის ბაღში მუდამ გრილა და ჰაერიც სუფთაა. უკრავს უნგრეთელ ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი ვაიერის ლოტბარობით ნაშუადღევის 3—7 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე. ბუფეტში ყველანაირი სასმელი იშოვება. საჭმელები აზიური და ევროპიული. შეიძლება სადილებისა და ვახშმების შეკვეთა. მუდამ იშოვება „ცოცხალი“ თევზი. სანოვაგის სისაღეში თავდებნი ვართ. **ტელეფ. № 296.**

სრულის პატივისცემით **კ. ბაქრაძე.**

(25.1344.25)

**საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!**

**თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

**ყურადღება!**

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მიიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო **ხიზილალა,** **გირვანქა 1 მ. 60 კ.**

(წ.1131.232)

**1912 წ. მიიღება ხელის მოწერა დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულ“-ზე**

**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბარტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოციშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**

(წ.—1393—97 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

**ე. ა. ცატუროვის საწყობში**

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**

ფირმა არსებობს 1869 წლიდან

**ი ყ ი დ ე ბ ა**

**ნავთის სახურებელი ინვერტის ფარნები „ი გ ა“,**



გარედ გასანათებლად 200, 1100 და 1800 სანთლის სინათლისა, ოთახში—200 და 300 სანთლის სინათლისა ეწინაამდეგება: ქარბუქს, წვიმას, ქარს, თოვლსა და ყინვას. 1100 და 1800 სანთლის სინათლიანი „ი გ ა“-ს ფარნები ავტომატიურად ინთება, უპატრუქოდ მოქმედობს, არ საჭიროებს მავთულებს და ტუმბოს. საათში ნავთი უნდება:

| | | |
|---|---|---|
| 200 | სანთლის სინათლიანს | 25 მისხალი. |
| 1100 | „ „ | 32 „ |
| 1800 | „ „ | 80 „ |

სრულიად უბრალო და მაგარი კონსტრუქციისაა. და ამიტომ ფარნის ნაწილებს **გამოცვლა არა სჭირდება. სრულის თავდებობით**, რომ ფარნები კარგად იმუშავებენ. ერთი წლის განმავლობაში **გაფუჭებულ ნაწილების უფასოდ გამოცვლა.** ვურჩევთ ქუჩებისა, სახლებისა, ეზოებისა, საწყობებისა, ყაზარმებისა და ფორტების გასანათებლად და სხვა. ერთის წლის განმავლობაში **უფასოდ გამოვცვლით გაფუჭებულ ნაწილებს.**

**ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.**

**ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიასა, სპარსეთსა და ოსმალეთში**

**საწყობი ე. ა. ცატუროვისა, ტფილისში.**

აქვე შეიძლება შეკვეთა ელექტრონის განათების მოწყობისა, დიდის შიგ რჩევით **საელექტრონო არმატურისა;** შეკვეთილ საქმეს ასრულებენ სწრაფად და საუკეთესოდ. 12.396.13